

საარჩევნო ბლოკის

„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი,
გაერთიანებული ოპოზიცია“

წესდება

1. საარჩევნო ბლოკის სახელწოდება

პოლიტიკური პარტიებისგან (შემდგომში - „პარტიები“) შემდგარი საარჩევნო ბლოკის (შემდგომში - „ბლოკის“) სახელწოდებაა: „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“.

2. ბლოკში გაერთიანებული პარტიები

ბლოკში ერთიანდება შემდეგი პარტიები:

- 1) პოლიტიკური გაერთიანება „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
- 2) პოლიტიკური გაერთიანება „ტრადიციონალისტები“;
- 3) პოლიტიკური გაერთიანება „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“;
- 4) პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“;
- 5) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“;
- 6) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი ქრისტიან დემოკრატები“;

3. ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო, ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილება

3.1. ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოა ბლოკის პოლიტიკური საბჭო (შემდგომში - „პოლიტსაბჭო“).

3.2. პოლიტსაბჭო შედგება 8(რვა) წევრისგან.

3.3. პოლიტსაბჭოში თანამდებობრივად შედიან ბლოკში გაერთიანებული პარტიების თავმჯდომარეები/ ხელმძღვანელი პირები.

3.4. პოლიტსაბჭოში 3 (სამ) წევრს ნიშნავს ამ წესდების მე-2 პუნქტის ჩამონათვალში პირველი ნომერით განსაზღვრული პარტია, ხოლო თითო წევრს დანარჩენი პარტიები.

3.5. ბლოკის პოლიტსაბჭო უფლებამოსილია, თუ იგი დაკომპლექტებულია პოლიტსაბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი წევრისგან.

3.6. პოლიტსაბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები:

ა) პოლიტიკური ბლოკის საარჩევნო მიზნებისა და სტრატეგიის შესახებ;

ბ) ბლოკში ახალი პარტიის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასვლის/გარიცხვის შესახებ;

გ) ბლოკის მიერ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების შესახებ.

დ) პოლიტსაბჭოს მდივნისთვის საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

ე) ამ წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

ვ) სხვა საკითხებზე, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება პოლიტსაბჭოს მდივნის ფუნქციებს.

3.7. პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება პოლიტსაბჭოს სხდომებზე, რომელიც გაიმართება საჭიროებისამებრ, ამ წესდებით დადგენილი წესით.

3.8. პოლიტსაბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პოლიტსაბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

3.9. პოლიტსაბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, თუ ამ წესდებით სხვა რამე არაა დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია პოლიტსაბჭოს მდივნის ხმა.

3.10. პოლიტსაბჭოს სხდომებს იწვევს პოლიტსაბჭოს მდივანი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას პოლიტსაბჭოს წევრთა $\frac{3}{4}$ -ის წერილობითი მოთხოვნით და ზუსტად განსაზღვრულ საკითხებზე.

4. პოლიტსაბჭოს მდივანი

4.1. პოლიტსაბჭოს ხელმძღვანელობს პოლიტსაბჭოს მდივანი, რომელიც აღჭურვილია საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით.

4.2. პოლიტსაბჭოს მდივანი არის ამ წესდების მე-2 პუნქტის ჩამონათვალში პირველი ნომერით განსაზღვრული პარტიის ხელმძღვანელი.

4.3. პოლიტსაბჭოს მდივანი:

ა) ხელმძღვანელობს ბლოკის ყოველდღიურ საქმიანობას; იწვევს პოლიტსაბჭოს სხდომას და უზრუნველყოფს მის მუშაობას (დღის წესრიგის შედგენა, წევრების ინფორმირება და სხვ.);

ბ) პოლიტსაბჭოს წევრებისგან ნიშნავს/ათავისუფლებს პოლიტსაბჭოს მდივნის მოადგილეს, რომელიც მდივნის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობებს;

გ) ერთპიროვნულად ხელს აწერს საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციას (მათ შორის საარჩევნო დოკუმენტაციას);

დ) პასუხისმგებელია საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე;

ე) თანხმობის მისაღებად წარუდგენს პოლიტსაბჭოს საარჩევნო კამპანიის მმართველის და ბუღალტრის კანიდატურებს; დებს მათთან შესაბამის ხელშეკრულებებს;

ვ) შეიმუშავებს და პოლიტსაბჭოს შესათანხმებლად წარუდგენს ბლოკის აპარატში დასაქმებულ პირთა ოდენობას და მათი შრომის ანაზღაურებას; დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას.

ზ) ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რომელიც ამ წესდებით არ განეკუთვნება პოლიტსაბჭოს ფუნქციებს და აუცილებელია ბლოკის გამართული ფუნქციონირებისათვის.

4.4. საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით, ბლოკის მიერ გამოყენებული უნდა იქნას პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს ბეჭედი და საარჩევნო ნომერი.

5. ბლოკში ახალი პარტიის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასვლისა და გარიცხვის წესი

5.1 ბლოკში ახალი პარტიის მიღება, ბლოკიდან პარტიის გასვლა/გარიცხვა ხდება პოლიტსაბჭოს სხდომაზე პოლიტსაბჭოს მდივნის წარდგინების საფუძველზე.

5.2. ბლოკიდან პარტიის გარიცხვის შემთხვევაში, პოლიტსაბჭოს მდივნის წარდგინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გარიცხვის საფუძველების შესახებ.

5.3. ბლოკში ახალი პარტიის მიღებაზე, ბლოკიდან პარტიის გასვლა/გარიცხვაზე გადაწყვეტილებას პოლიტსაბჭოს მდივანი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში აცნობებს ცსკ-ს და უზრუნველყოფს ამ წესდებაში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციას.

6.წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

6.1 წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატივით პოლიტსაბჭოს მდივანს შეიძლება მიმართოს პოლიტსაბჭოს თითოეულმა წევრმა წერილობით, ხოლო აპარატი ვალდებულია მოამზადოს საკითხი სხდომაზე გასატანად.

6.2 წესდებაში ცვლილებები და დამატებები მიიღება პოლიტსაბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით.

ხელმოწერები

პ/გ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“;-(ხელმძღვანელი)---

პ/გ „ტრადიციონალისტები“;---(თავმჯდომარე)-----

პ/გ „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“;----(თავმჯდომარე)-----

პ/გ „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“;--(თავმჯდომარე)-----

პ/გ „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“;-----

(თავმჯდომარე)-----

პ/გ „ახალი ქრისტიან დემოკრატები“;---(თავმჯდომარე)-----
